გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

04 აპრილი 2024

N 2-416

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ კარალეთში შპს „იბოლიას“ „ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, მათ შორის წარმადობის გაზრდა, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამუშავებაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 ოქტომბრის №2-892 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 26 მარტის N21/3124 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ კარალეთში შპს „იბოლიას“ „ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, მათ შორის წარმადობის გაზრდა, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამუშავებაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 ოქტომბრის №2-892 ბრძანება.
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და შპს „იბოლიას”.
3. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.
4. ეს ბრძანება ძალაშია შპს „იბოლიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE